ხუთი წუთი ჰა ჯონ ჩანგთან: „საზოგადოება ვალდებულია მიიღოს ეკონომიკური განათლება“

9 ივლისი 2014

სტიუარტი, ა.

ჯოელ სასთან ინტერვიუში, ჰა ჯონ ჩანგი განიხილავს თავის ახალ წიგნს „ეკონომიკა: მომხმარებლის სახელმძღვანელო“ და ეკონომიკასთან დაკავშირებით, პლურალისტური მიდგომის საჭიროებაზე საუბრობს.

ერთ-ერთ ბოლო სტატიაში წერთ: „ეკონომიკა ზედმეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მხოლოდ პროფესიონალ ეკონომისტებს, მათ შორის მეც ვიგულისხმები, ვანდოთ“. შეგიძლიათ განმარტოთ რას გულისხმობთ?

იმას არ ვამბობ, რომ ექსპერტული ცოდნა უმნიშვნელოა. რთული, თანამედროვე ეკონომიკის მართვა შეუძლებელია მაოისტური პრინციპებით, რომელთა თანახმადაც ყველას ყველაფრის გაკეთება შეუძლია, ამიტომაც ექსპერტები არ გვჭირდება. არა, ამის არ მჯერა. ექსპერტების როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან არსებობს არაერთი ტექნიკური საკითხი, რომელიც მხოლოდ მათ შეიძლება იცოდნენ.

თუმცა, თუკი რეალური დემოკრატია გსურთ, ექსპერტული ცოდნა ფართო საზოგადოების ნების თანახმად უნდა გამოიყენებოდეს.

მანამ, სანამ ფართო საზოგადოება ძირითადი ეკონომიკური თეორიებისა და ფაქტების შესახებ არ იქნება ინფორმირებული, ის მცდარ გადაწყვეტილებებს მიიღებს. საზოგადოების წევრები ვალდებულნი არიან ეკონომიკა იმ დონეზე შეისწავლონ, რომ რაციონალური გადაწყვეტილებები მიიღონ. შემდეგ კი, დეტალებს, ექსპერტები დააზუსტებენ.

ნაცვლად ამისა, ჩვენ შევქმენით სისტემა, რომელშიც, ძირითადად, თვითგამოცხადებული ექსპერტები მართავენ ვითარებას, ხოლო დემოკრატები ამას სათანადო განხილვისა და მსჯელობის გარეშე ეთანხმებიან, რადგან ხალხს არ ესმის რა ხდება და არც სურთ ამის გაგება.

მიუხედავად იმისა, რომ დასაბუთებული დასკვნების გამოსატანად კვალიფიკაცია არ გააჩნიათ, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის: ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე, ერაყზე, აბორტზე, გლობალურ დათბობაზე ადამიანებს მყარი შეხედულებები აქვთ ჩამოყალიბებული. მართალია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით აკადემიური ხარისხი არ მაქვს, მაგრამ ავღანეთთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება გამაჩნია.

როგორ შეიძლება ყველა ფიქრობდეს, რომ ეკონომიკა ძალიან რთული და ზედმეტად ტექნიკურია?

ადამიანებს მყარი დასკვნები რთული, ექსპერტული ცოდნის საფუძველზე კი არა გამოაქვთ, არამედ საერთაშორისო პოლიტიკისა, თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერების გარკვეულ, საბაზისო ცოდნაზე დაყრდნობით. სულ ესაა, რასაც ვითხოვ მაშინ, როდესაც საქმე ეკონომიკურ საკითხებს ეხება.

სამწუხაროდ, ჩვენ, ეკონომისტებმა წარმატებით მოვახერხეთ ადამიანების დარწმუნება იმაში, რომ ჩვენი საქმიანობა ძალზე რთულია და ხალხი მის არსს მაშინაც კი ვერ ჩასწვდება, თუკი ავუხსნით.

ამასთანავე, დიდი იყო პოლიტიკური ინტერესი იმისა, რომ ეკონომიკა არ ყოფილიყო დემოკრატიული განხილვის საგანი და ფართო საზოგადოებისგან შორს ყოფილიყო, რაც შესაძლებელი გახდა ხალხის იმაში დარწმუნებით, რომ ეს ძალიან რთული სფეროა.

ამგვარად, რეალური დებატები არ მიმდინარეობს, თუ არ ჩავთვლით მსჯელობას იმის შესახებ, მონეტარულ პოლიტიკას ინგლისის ბანკი უნდა ატარებდეს, თუ ფედერალური სარეზერვო საბჭო, ან შესაძლოა თუ არა, რომ კომუნალური მომსახურების რეგულირება რომელიმე სპეციალურმა კომიტეტმა განახორციელოს.

გარკვეული დროის შემდეგ აცნობიერებ, რომ დემოკრატია უსარგებლოა, რადგან ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ამ ექსპერტთა ჯგუფებს აქვთ მინდობილი. სწორედ ეს უნდა შეიცვალოს.

მონეტარული პოლიტიკა – პოლიტიკისგან სრულად დამოუკიდებელი არ უნდა იყოს? ამომრჩევლებმა ამაში საკუთარი როლი უნდა შეასრულონ?

განსაკუთრებით ეფექტური არაა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფედერალური სარეზერვო საბჭოს თავმჯდომარე ექვს თვეში ერთხელ კონგრესის კომიტეტის წინაშე უნდა წარსდგეს და კითხვებს უპასუხოს.

მეორე მხრივ, ევროპის ცენტრალურ ბანკს ანგარიშვალდებულება არ აქვს. ისინი სრულად თავისუფლები არიან დემოკრატიისგან. ეს უნდა შეიცვალოს.

შესაძლოა, ინგლისის ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრებს ჩვენ უნდა ვირჩევდეთ. რატომაც არა?! მაინცდამაინც საბჭოს წევრების არჩევის საკითხს არ ვადვოკატირებ, მაგრამ ამ საექსპერტო ჯგუფებში გარკვეული დემოკრატიული ანგარიშვალდებულება უნდა არსებობდეს. გარკვეული ბალანსი აუცილებელია, რადგან არ გვსურს, რომ გადაწყვეტილებები მხოლოდ პოლიტიკური თვალთახედვის საფუძველზე, ტექნიკური კომპეტენციის, თუ ექსპერტული მოსაზრების გარეშე მიიღებოდეს.

მეორე მხრივ, ექსპერტები მხოლოდ და მხოლოდ ტექნოკრატები არ არიან. მათ საკუთარი შეხედულებები აქვთ. ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები შესაძლოა სულაც არ იყვნენ პოლიტიზებულები; შესაძლოა ისინი ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წევრები არ იყვნენ, მაგრამ კონკრეტულ მსოფლმხედველობას ატარებენ.

როგორც წესი, ისინი ფინანსური საზოგადოების წარმომადგენლები არიან და მიკერძოების სურვილის გარეშე, მიდრეკილნი არიან, რომ სამყაროს განსაზღვრულ პრიზმაში აღიქვამდნენ.

ამას რაიმე ტიპის წინააღმდეგობა სჭირდება.

თუკი ეკონომიკური განათლების არ მქონე ადამიანების წევრობა დისკომფორტს გიქმნით, სავაჭრო კავშირებს, სამოქალაქო ჯგუფებს, ან მსგავს გაერთიანებებს მაინც სთხოვეთ რეკომენდაცია გაუწიონ ეკონომისტს, რომელიც განსხვავებული ინტერესების წარმოდგენას შეძლებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი ახლა ფინანსური ინდუსტრიის წარმომადგენლების, ან წმინდად აკადემიური გამოცდილების მქონე ადამიანებითაა დაკომპლექტებული, შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკა კონკრეტული მიმართულებით ტარდება.

თქვენ ასევე კრიტიკულად ხართ განწყობილი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დომინირებს მეინსტრიმული ეკონომიკური აზროვნება აკადემიურ წრეებში...

ზოგჯერ ეკონომისტის პროფესიას შუა საუკუნეების კათოლიკურ მღვდელმსახურებას ვადარებ. ლათინურის ცოდნის გარეშე ბიბლიას ვერ წაიკითხავდით, რადგან პაპი ბიბლიის ადგილობრივ ენებზე თარგმნაზე უარს ამბობდა. ან ლათინური უნდა გესწავლათ, ან სასულიერო პირებს სიტყვაზე უნდა ნდობოდით.

ეკონომიკა ბევრისთვის სრულად მიუწვდომელი გახდა და ეს მოცემულობა უნდა შევცვალოთ ისე, როგორც ზოგიერთი რელიგიური რეფორმა ცდილობდა ამის მიღწევას მაშინ.

იმ დროს, რელიგიური რეფორმატორები ბიბლიის ადგილობრივ ენებზე თარგმნას და უბრალო ხალხის მიერ მის წაკითხვას უწყობდნენ ხელს. ისინი ბიბლიის ავტორიტეტს უსვამდნენ ხაზს და არა იმას, რასაც ვატიკანი ამბობდა, რომ ბიბლიაში ეწერა. მათ, შეიძლება ითქვას, რელიგია დემოკრატიული გახადეს.

ახლაც რაღაც მსგავსია საჭირო.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერი-ეკონომისტები არ გვჭირდება; ეს ხალხი აუცილებელია, მაგრამ, ამას კავშირი უნდა ჰქონდეს იმ მოვლენებთან, რაც რეალურ სამყაროში ხდება.

სამწუხაროდ, ჩემი არაერთი კოლეგა აკადემიური წრეებიდან არათუ რეალურ სამყაროზე არ მუშაობს, არც კი ინტერესდება მისით.

ეკონომიკური აზროვნების როგორი ჰეტეროდოქსული, ან ალტერნატიული ნაკადების ხილვა გსურთ მეინსტრიმში?

ტერმინი ჰეტეროდოქსული არ მომწონს, რადგან ის ფარდობითია. ის უკვე გარანტირებულად გულისხმობს, რომ არსებობს ორთოდოქსული პოზიცია, ხოლო სხვა ყველაფერი ჰეტეროდოქსულია. ჰეტეროდოქსულად რასაც მივიჩნევთ, შეიძლება მუდმივად იცვლებოდეს. 1950-იან წლებში მილტონ ფრიდმანი ჰეტეროდოქსი იყო.

ჩემი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ პლურალისტური მიდგომა გვჭირდება, სადაც არცერთი თეორია არ აღემატება სხვას.

ჩემს ახალ წიგნში ვხსნი, რომ ეკონომიკის, სულ მცირე, ცხრა ძირითადი სკოლა არსებობს. შესაძლოა კიდევ ექვსიც, თუკი ზოგიერთ მცირე სკოლას მივიღებთ ანგარიშში, ან უფრო დიდ სკოლებს – ქვესკოლებად დავყოფთ და ა.შ.

მრავალი განსხვავებული ეკონომიკური თეორია არსებობს და თითოეულ მათგანს შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა. მათ აქვთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, რადგან ყველა მათგანი ეთიკისა და პოლიტიკის შესახებ გარკვეულ დაშვებებს აკეთებს. თითოეულ მათგანს განსხვავებული თეორია აქვს იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება ეკონომიკა, განსხვავებული ხედვა იმისა, თუ როგორია იდეალური საზოგადოება და ა.შ.

ადამიანებს უნდა გავაცნოთ რაც შეიძლება ფართო სპექტრი თეორიებისა, რათა უფრო ფართო წარმოდგენა ჩამოუყალიბდეთ სამყაროზე. მრავალი თეორიის გაცნობით, სამყაროს უფრო კომპლექსური ხედვა გიყალიბდებათ.

ჩემს მკითხველს მსურს ვასწავლო როგორ იფიქრონ და არა ის, თუ რა იფიქრონ. რა დასკვნას გამოიტანენ, ეს მათზეა დამოკიდებული. სხვადასხვა თეორიებზე, ისტორიულ ფონსა და ფაქტებზე დაყრდნობით, მათ, უბრალოდ, საჭირო ინსტრუმენტებს ვაძლევ, რათა მეტად ინფორმირებული არჩევანის გაკეთება შეძლონ.

სინგაპური ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, რომლის გამოყენებაც ამ კონტექსტში შეგვიძლია. თუკი მხოლოდ The Economist-ს, ან Wall Street Journal-ს წაიკითხავთ, მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკისა და უცხოელი ინვესტორების მიმართ კეთილგანწყობის შესახებ გაიგებთ.

არასდროს გეტყვიან, რომ მიწის 90% მთავრობას ეკუთვნის, საცხოვრებელთა 85%-ს კი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საბინაო კორპორაცია უზრუნველყოფს და მშპ-ს გასაოცარი 22% სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მიერაა წარმოებული, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი მსოფლიოში, საშუალოდ, დაახლოებით 9%-ია.

სინგაპური ექსტრემალური კაპიტალიზმისა და ექსტრემალური სოციალიზმის მახასიათებლებს აერთიანებს, მაშ, რა არის ეს? არ არსებობს ცალკეული ეკონომიკური თეორია, რომელიც სინგაპურის მოდელს ახსნის. რეალობა ძალიან რთულია, შესაბამისად, ჩემს მკითხველს განსხვავებული თეორიების გაცნობისა და მათ განსხვავებულ კონტექსტებზე მორგებისკენ მოვუწოდებ.

როგორია ფართო შედეგები დომინანტური ეკონომიკური მსოფლმხედველობისა, რომელიც ადამიანებს რაციონალურ აქტორებად განიხილავს, რომლებიც საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ და სისტემატურად წონიან დანახარჯებსა და სარგებელს? ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ საბოლოო ჯამში, ბაზრის ლოგიკა მყარად დაუკავშირდა ჩვენს ყოველდღიურ, პირად ურთიერთობებს.

დიახ, სწორია. რა თქმა უნდა, სისულელე იქნებოდა იმის უარყოფა, რომ ჩვენ, სულ მცირე, ვცდილობთ რაციონალურები ვიყოთ. ჩვენს ქმედებები რაციონალისტურ ასპექტებს მოიცავს. ადამიანები, ნაწილობრივ მაინც, ეგოისტური ინტერესებით არიან მოტივირებულნი.

თუმცა, ადამიანური ბუნების ამ ვიწრო გაგებამ სუსტი საზოგადოების ჩამოყალიბება განაპირობა, საზოგადოებისა, სადაც ყველაფერი მონეტარულ ღირებულებამდეა დაყვანილი.

ახლა ხალხი სვამს კითხვას, რაში სჭირდებათ საგნები, როგორებიცაა: ანთროპოლოგია, ხელოვნების ისტორია, თუ სოციოლოგია, როდესაც ყველაფერი, რაც ჩვენ გვჭირდება, ფულის შოვნაა. ამგვარი მიდგომა ძალიან ასუსტებს საზოგადოებას.

თქვენ ისმენთ არგუმენტებს იმის შესახებ, რომ BBC-ის კომერციალიზაცია უნდა მოვახდინოთ, რათა მათ უფრო მეტი მასალა მოამზადონ, რომელსაც ხალხი იმის გაცნობიერების გარეშე უყურებს, რომ BBC მთელ მსოფლიოში შურის საგანი სწორედ იმიტომაა, რომ მათ ძალიან მაღალი ხარისხის კულტურული პროგრამების შექმნა შეუძლიათ.

ასე რომ, ამგვარმა მსოფლმხედველობამ, კულტურული მრავალფეროვნებისა და მსგავსი საკითხების თვალსაზრისით, საზოგადოებები ძალიან გააღარიბა.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ამ ყველაფერმა შექმნა საზოგადოება, სადაც იყო ცუდი, თუკი გსურს, კარგ რამედ, ან მეტიც, ჭკვიანურად მიიჩნევა. ფაქტობრივად, გულუბრყვილო ხარ, თუკი არ თაღლითობ.

როგორც კი სამყაროს ამ ვიწრო, ღარიბი გაგებით გაეცნობით, შექმნით საზოგადოებას, რომელიც, რეალურად, ძალიან არაეფექტურია. შემდეგ მოგიწევთ თქვათ – ყველა ცდილობს ითაღლითოს და საკუთარი, კერძო ინტერესები წამოწიოს წინ, ასე რომ, მუდმივად ყველას მეთვალყურეობა გვიწევს, მაგრამ ვინღა გაუწევს მეთვალყურეობას მეთვალყურეებს? ჩვენ უნდა დავიქირაოთ მეთვალყურეები, რომელთაც შეუძლიათ მეთვალყურეების მეთვალყურეობა და ა.შ. საზოგადოება ძალიან არაეფექტური ხდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ძალიან უსიამოვნოზე.

https://blogs.lse.ac.uk/usappblog/2014/07/09/five-minutes-with-ha-joon-chang-members-of-the-general-public-have-a-duty-to-educate-themselves-in-economics/?utm_source=chatgpt.com